შპს „მშენპროექტექსპერტიზა“

პ/ე

საქართველო, ქ. თბილისი ვ. ფშაველას გამზ. №16. მე-11 სართ. ოთახი №1120 ელ-ფოსტა: temur.iobashvili@mail.ru ტელ: №599 20-32-53

№ 3/ა 30 18 დეკემბერი 2017 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ „თელეთის“ 220/110/35 კვ ქვესადგურისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე და 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ალგეთის“ გაჭრისთვის ახალი საყრდენის დაყენების ადგილზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე

საექსპერტო დასკვნა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „მშენპროექექსპერტიზ ას“ შორის 2017 წლის 14 დეკემბერში გაფორმებული №17-112313 შესრულების თანახმად, ექსპერტიზა ჩაუტარა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“„თელეთის“ 220/110/35 კვ ქვესადგურისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე და 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ალგეთის“ გაჭრისთვის ახალი საყრდენის დაყენების ადგილზე ჩატარებულ საინჟინ რო-გეოლოგიურ კვლევის შედეგებს. (ექსპერტი მურმან სამხარაძე)

საინჟინრო-გეოლგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში ექსპეტიზისათვის წარმოდგენი ლია მისი ელექტრონული ვერსია, სადაც ანგარიში შედგება შემდეგი ფურცლებისა და თავებისაგან:

- ტექნიკური დავალება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად – 1 გვ. სადაც აღნიშნულია:
  * საძირკვლის სავარაუდო ტიპი–რკინაბეტონის ანაკრები ან მონოლითური.
  * მაქსიმალური დატვირთვა გრუნტზე 500 კგძ/მ^2 –ზე.
  * საძირკვლები სავარაუდო ჩაღრმავება – 3.0 მ.
  * საგები გრუნტის ქვეშ შესწავლილი უნდა იყოს + 3.0 მ.
  * გამონამუშევრები გაყვანილი უნდა იქნეს მითითებულ ადგილებში. სულ 6 წერტილი.
- მიწერილობა საინჟირო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად – 1 გვ.
- ანგარიშის ტექსტური ნაწილი – 5 გვ., რომელიც შედგება 3 გვ. ტექსტის საერთო ნაწილისაგან და 2 გვ. დასკვნები და რეკომენდაციებისაგან.
- გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი – 1 გვ.
- ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები მ 1 100 – 1 ფ.
- სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური ჭრილები 1:100 – 2 ფ.
- უბნის ტოპოგეგმა მ. 1:1000, ქვესადგურის კონტურისა და ჭაბურღილების გაყვანის ადგილების დატანით - 1 ფ.

სამშენებლო მოედანი, მდებარეობს ქ. თბილისის შემოგარენში სოფ. თელეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს, აჭარა–თრიალეთის სამხრეთის განშტოების მთისწინეთის მოვაკებულ ნაწილს, მცირედ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრილი რელიეფით. რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები გამოკვლეული უბნის საზღვრებში ცვალებადობს 694.1–702.4 მ-ის ფარგლებში.

სამშენებლო უბნის კლიმატური პირობების მონაცემები მოყვანილია პნ 01.05.-08 „სამშენებლო კლიმატოლოგიის“ მიხედვით.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულია 2017 წ-ის ნოემბერში შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების მთავარი სპეციალისტის მ. მამუკელაშვილის ხელმძღვანელობით. წამყვანი ინჟინერ-გეოლოგი ნ. ილაშვილი.

სამშენებლო უბნის საინჟინრო–გეოლოგიური პირობების შესწავლისა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით დამკვეთის მიერ მოცემული კოორდინატების მიხედვით გაყვანილი იყო 5 ჭაბურღილი და ერთი უშუალოდ ანძის დასმის ადგილზე სიღრმით 6.0–6.0 მ. სულ გაყვანილია 36 გრძივი მეტრი.

სამშენებლო უბანზე გავრცელებული თიხნარებიდან მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის მიზნით ჭაბურღილებიდან აღებული იყო, დაურღვეველი სტრუქტურ ის 14 ნიმუში, რომლის გამოკვლევები ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

როგორც საინჟინრო-გეოლოგიური კვლევიდან ჩანს, სამშენებლო მოედანზე გავრცელებულ გრუნტებში, გამოკვლეულ სიღრმემდე (6.0 მ) გამოყოფილი იქნა 2 ფენა, აქედან 1 საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი (სგე):

ფენა 1 –ნიადაგის ფენა მცენარეული ფესვებით. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 0.4 მ სიღრმემდე.

ფენა 2– სგე I თიხნარი მოყვითალო, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ხვინჭის 10%-მდე ჩანართებით. გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ნიადაგის ფენის ქვეშ, 6.0 მეტრ სიღრმემდე.

ლაბორატორულად თიხნარების ფენა 2 სგე I -სათვის განსაზღვრული იყო მათი ფიზიკური მაჩვენებლები, რის მიხედვითაც პნ 02.01-08 მუხლი 7 პ 7-ის თანახმად განისაზღვრა თიხნარების სგე I-ის სიმტკიცისა და დეფორმაციული მაჩვენებლები.

გრუნტის წყალი გამოკვლეული სიღრმის 6.0 მ დაფიქსირებული არ იყო 2017 წლის ნოემბერი.

დასკვნები და რეკომენდაციები შედგება 8 პუნქტისაგან სადაც აღნიშნულია, რომ საინჟინრო–გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით სამშენებლო უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში, რადგან უარყოფითი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები არ აღინიშნება, ხოლო საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I მარტივ კატეგორიას, სამშენებლო თვისებებით უბანზე გამოყოფილია 2 ფენა, მათგან 1 სგე: ფენა 2 თიხნარის სახით. სამშენებლო უბნის გეოლოგიური პირობებიდან და შენობა ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე რეკომენდებულია შენობა-ნაგებობის დაფუძნება განხორციელდეს ფენა 2 სგე I -ზე, მოყვანილია ფენა 2 სგე I ის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და უბნის კლიმატური პირობები პნ 01.05.85 მიხედვით. მოცემულია პნ 01.01-09 მიხედვით უბნის სეისმურობა 8.0 ბალი. და გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით ფენა 2–სგე I - სათვის II, მოცემულია გრუნტების ჯგუფები დამუშავების სიძნელის მიხედვით აღებული ს. ნ. და წ. IV-2-82 ცხრილი 1-ში და ქვაბულებისა და თხრილების ფერდების მაქსიმალური დასაშვები დახრა ს.ნ. და წ. 3.02.01-85 3.11 და3.15-ისა და ს..ნ. და წ III-4080 მე-8 თავის მიხედვით.

ექსპერტს &მ. სამხარაძე) წარმოდგენილი ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

დასკვნა

შპს „ მშენპროექტექსპერტიზა“-მ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თან 2017 წლის 14... დეკემბერს გაფორმებული №60-7-117-2837... ხელშეკრულების თანახმად, ექსპერტიზა ჩაუტარა „თელეთის“ 220/110/35 კვ ქვესადგურისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე და 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ალგეთის“ გაჭრისთვის ახალი საყრდენის დაყენების ადგილზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებს, ეძლევა დადებითი დასკვნა.

შპს„მშენპროექტექსპერტიზა“-ს დირექტორი — თ. იობაშვილი

ექსპერტი, ინჟინერ-გეოლოგი — მ. სამხარაძე